GEORGIAN LEASING COMPANY

ობლიგაციების პრეზენტაცია

ივლისი, 2021

Disclaimer

- **წინამდებარე პრეზენტაცია არ წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების შეთავაზებას, საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღების საფუძველს ან რჩევას. პოტენციურმა ინვესტორმა ფასიანი ქაღალდების შეძენის გადაწყვეტილება უნდა მიიღოს პროსპექტზე დაყრდნობით.**

- წინამდებარე ინფორმაცია არ წარმოადგენს საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღების საფუძველს, და შესაძლოა არ მოიცავდეს ყველა იმ ინფორმაციას, რაც საჭირო ან სასურველია შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიის“ (შემდგომში „კომპანია“) სრულად და ჯეროვნად შესაფასებლად; წინამდებარე დოკუმენტი არ მოიცავს ფასიანი ქაღალდების ყიდვის ან/და გაყიდვის შეთავაზებას.

- ეს პრეზენტაცია არ წარმოადგენს პროსპექტს ან შეთავაზების მემორანდუმს და არ უნდა იქნეს განხილული რეკომენდაციად იმასთან დაკავშირებით, რომ რომელიმე ინვესტორმა შეიძინოს რომელიმე ფასიანი ქაღალდი. ეს პრეზენტაცია არ წარმოადგენს და არ უნდა იქნეს განხილული ოფერტად, ოფერტზე მოწვევად ან შეთავაზებად ნებისმიერ ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში. ნებისმიერი ინვესტორი, რომელიც შემდგომში შეიძენს ფასიანს ქაღალდებს აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა გაეცნოს და დაეყრდნოს მხოლოდ პროსპექტს, რომელიც წარმოადგენს ერთადერთ დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც შესაძლოა შეძენილ იქნეს ფასიანი ქაღალდები. პროსპექტი ხელმისაწვდომია **შემდეგ ინტერნეტ** ბმულზე. კომპანია აცხადებს, რომ, პრეზენტაციაში წარმოდგენილი ინფორმაცია შეესაბამება პროსპექტს. ამასთან, ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, კომპანია, განთავსების აგენტი, და ნებისმიერი სხვა პირი, გამოირიცხავს თავის პასუხისმგებლობას, კანონმდებლობით დაშვებულ მაქსიმალურ ფარგლებში, ნებისმიერი პირის მიმართ პრეზენტაციაში მოცემულ ინფორმაციაზე ნებისმიერი დაყრდნობის/გამოყენების შედეგად ან კავშირში დამდგარი/განცდილი რეალური თუ პოტენციური ნებისმიერი პირდაპირი თუ ირიბი ზიანისა თუ ზარალისთვის.

- **პრეზენტაცია მიზნად არ ისახავს ფასიან ქაღალდებში კაპიტალდაბანდებასთან დაკავშირებული რისკების შეფასებას. პოტენციურმა ინვესტორმა თავად უნდა შეაფასოს შესაბამისი პოტენციური რისკები.**

- **პრეზენტაციაში მოცემული ინფორმაცია არ არის დადასტურებული დამოუკიდებელი მესამე პირის მიერ არც კომპანიის, არც განთავსების აგენტისა და არც მათთან დაკავშირებული პირის დავალებით**. არც კომპანიას და არც მის ფასიან ქაღალდებს არ გააჩნია საკრედიტო რეიტინგი. კანონმდებლობით დაშვებულ ფარგლებში, არც კომპანია, არც მისი რომელიმე წარმომადგენელი და არც განთავსების აგენტი არ იქნება პასუხისმგებელი ნებისმიერ იმ ზარალზე, რომლის წარმოქმნაც შესაძლოა რაიმენაირად კავშირში იყოს ამ პრეზენტაციასთან. კანონმდებლობით დაშვებულ ფარგლებში, განთავსების აგენტს არ დაეკისრება არანაირი პასუხისმგებლობა ამ პრეზენტაციაზე სრულად ან ნაწილობრივ დაყრდნობის შედეგად ნებისმიერ პირის ნებისმიერ პირდაპირ, არაპირდაპირ ან ირიბ ზიანზე ან ზარალზე.

- ეს პრეზენტაცია და მისი შინაარსი არ არის დადასტურებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.

სამომავლო გათვლებთან/შეხედულებებთან დაკავშირებით არსებული გაფრთხილება

- წინამდებარე პრეზენტაციაში მოყვანილი დაშვებები და განცხადებები არის მხოლოდ შეხედულებები და სამომავლო გათვლები კომპანიის შესახებ. მომავალზე ორიენტირებული განცხადებები ხშირად შეიცავს ისეთ სიტყვებს როგორებიცაა: მოსალოდნელია, ჯერა, ვარაუდობს, არსებობს აზრი, როგორც ჩვენთვისაა ცნობილი. ეს სიტყვები ასახავენ კომპანიის ამჟამინდელ ხედვას სამომავლო მოვლენების შესახებ, რომლებიც თავისთავად შეიცავენ რისკს და გაურკვევლობას. არსებობს რიგი ფაქტორებისა, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვნად შეცვალოს მოსალოდნელი განვითარების კურსი, ასეთი ფაქტორებია, მაგალითად რეგულაციების ცვლილება, ბაზარზე გაზრდილი კონკურენცია, შესყიდვებისგან წარმოქმნილი რისკები, საპროცენტო და სავალუტო რისკები ან ისტორიული ვალდებულებებისგან წარმოშობილი რისკები და სასამართლო რისკები. არც კომპანია და არც მისი მენეჯმენტი არ არის პასუხისმგებელი პრეზენტაციაში გამოთქმული მოსაზრებების აკურატულობაზე ან პროგნოზირებული მოვლენების უტყუარ განხორციელებაზე. აქ წარმოდგენილი ინფორმაცია მომზადებულია პრეზენტაციის მომზადების მომენტისთვის კომპანიის ხელთ არსებული ინფორმაციის გამოყენებით. გარე ან სხვა ფაქტორებს შესაძლოა გავლენა ჰქონოდა კომპანიის ბიზნეს საქმიანობაზე და პრეზენტაციაში წარმოდგენილ ინფორმაციაზე პრეზენტაციის მომზადებიდან დღემდე. ამასთან, შესაძლოა კომპანიასთან დაკავშირებული ყველა რელევანტური ინფორმაცია არ იყოს წარმოდგენილი ამ პრეზენტაციაში. არც კომპანია, არც განთავსების აგენტი და არც რომელიმე დაკავშირებული პირი არ იღებს ვალდებულებას დამატებითი ინფორმაციის მოწოდებაზე ან წინამდებარე პრეზენტაციის განახლებაზე.

Disclaimer

- წინამდებარე პრეზენტაცია და მასში მოყვანილი ინფორმაცია კონფიდენციალურია, წარმოადგენს კომპანიის საკუთრებას და აკრძალულია მისი სრულად ან ნაწილობრივ რეპროდუქცია, დისტრიბუცია, გადაცემა, ან მასში მოყვანილი ინფორმაციის რაიმე სხვა ფორმით გავრცელება მესამე პირზე პირდაპირ ან არაპირდაპირ (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მესამე პირი წარმოადგენს ინვესტორის პროფესიონალ მრჩეველს), ან გამოქვეყნება სრულად ან ნაწილობრივ ნებისმიერი მიზნით კომპანიის წინასწარი თანხმობის გარეშე. თუ წინამდებარე პრეზენტაციის მიღება მოხდა შეცდომით, მისი დაბრუნება უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ.

- წინამდებარე პრეზენტაციის მიმღებმა პირებმა, მასში წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით არ უნდა განახორციელონ ინვესტიციასთან ან პროდუქტთან დაკავშირებული ისეთი ქმედება, რომელიც გავლენას მოახდენს ბაზარზე ვიდრე აღნიშნული ინფორმაცია არ გახდება საზოგადოდ ხელმისაწვდომი.

- პრეზენტაციაში მოყვანილი ფასიანი ქაღალდები არ იქნება შეთავაზებული იმ იურისდიქციებში, სადაც ამგვარი შეთავაზება იქნებოდა უკანონო წინასწარი რეგისტრაციის გარეშე, ან იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ფასიანი ქაღალდები არ არის განთავისუფლებული რეგისტრაციის ან დამატებითი კვალიფიკაციის მინიჭებისგან ასეთი იურისდიქციის მიერ.

- წინამდებარე ინფორმაცია არ უნდა იქნეს განხილული როგორც რეკომენდაცია კომპანიის ან განთავსების აგენტის, ან მათთან დაკავშირებული პირის (ამ ინფორმაციის მიმღები პირის ჩათვლით) მიერ, რომელიც მონაწილეობას იღებს კომპანიასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ტრანზაქციაში.

- ეს პრეზენტაცია არ არის განკუთვნილი, მისაწოდებლად ან გამოსაყენებლად ნებისმიერი ისეთი პირის მიერ, რომლის იურისდიქციაში ასეთი მიწოდება ან გამოყენება ეწინააღმდეგება კანონს ან რეგულაციას.

- პრეზენტაციის მიმღები პირების მხრიდან დაუშვებელია ნებისმიერი ისეთი ქმედების განხორციელება, რომელიც გავლენას იქონიებს ბაზარზე. პრეზენტაციაში აღნიშნული ფასიანი ქაღალდები არ ყოფილა და არ იქნება რეგისტრირებული აშშ-ს 1933 წლის ფასიანი ქაღალდების შესახებ აქტით, და არ იქნება შეთავაზებული ან გაყიდული ამერიკის შეერთებული შტატების ფარგლებში ან ამერიკის მოქალაქეებზე (აშშ-ს 1933 წლის ფასიანი ქაღალდების შესახებ აქტის „S" რეგულაციით განსაზღვრული მნიშვნელობით) გარდა იმ შემთხვევისა, თუ ფასიანი ქაღალდები რეგისტრირებულია ფასიანი ქაღალდების შესახებ აქტით ან განთავისუფლებულია რეგისტრაციის ვალდებულებისგან. კომპანიას ფასიანი ქაღალდები არ დაურეგისტრირებია და არ აპირებს დაარეგისტრიროს ან განახორციელოს საჯარო შეთავაზება არანაირი ოდენობით ამერიკის შეერთებულ შტატებში.

- ეს კომუნიკაცია განკუთვნილია ა) პირისთვის, რომელიც იმყოფება გაერთიანებული სამეფოს და ევროპის ეკონომიკური სივრცის გარეთ, ბ) არის პირი, რომლისთვისაც წინამდებარე პროსპექტი შეიძლება კანონიერად იქნეს მოწოდებული იმ იურისდიქციის კანონების შესაბამისად, სადაც იგი იმყოფება. ნებისმიერი საინვესტიციო აქტივობა, რომელსაც ეხება წინამდებარე კომუნიკაცია ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ შესაბამისი პირებისთვის. ნებისმიერი პირი, რომელიც არ არის შესაბამისობაში ზემოთ მოყვანილ შეზღუდვებთან, არ არის უფლებამოსილი დაეყრდნოს ან იმოქმედოს ამ კომუნიკაციის შესაბამისად.

სარჩევი

1 ობლიგაციების პირობები

2 შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიის“ მიმოხილვა

3 ინდუსტრიის მიმოხილვა

4 ძირითადი ფინანსური ინფორმაცია

5 დანართი 1: ისტორიული ფინანსური ანგარიშგებები

ობლიგაციების პირობები

ტრანზაქციის ფარგლებში ხდება 12,000,000 აშშ დოლარამდე ჯამური ნომინალური ღირებულების და 3,000,000 ევრომდე ჯამური ნომინალური ღირებულების ობლიგაციების ემისია.

ემიტენტი	შპს საქართველოს სალიზინგო კომპანია
ობლიგაციები	არაუზრუნველყოფილი და არასუბორდინირებული ობლიგაციები
ვალუტა	დოლარი
შეთავაზების თანხა	12,000,000 დოლარი
ნომინალური ღირებულება	1,000 დოლარი
განთავსების მინიმალური ლოტი	1 ობლიგაცია
ვადა	2 წელი
კუპონის დიაპაზონი	წლიური [5.75%-6.50%]*, (განიზასზღვრება book building-ის დროს)
კუპონის გადახდა	6 თვეში ერთხელ
გამოშვების თარიღი	ივლისი, 2021*
გაცემის ფასი	ობლიგაციების ძირითადი თანხის (ნომინალური ღირებულების) 100%
შემოსავლების გამოყენება	ობლიგაციების გამოშვებიდან მიღებული წმინდა შემოსავალი ინვესტირდება კომპანიის სამუშაო კაპიტალში.
მმართველი კანონმდებლობა	საქართველოს კანონმდებლობა
ლისტინგი	საქართველოს საფონდო ბირჟა
განთავსების აგენტი	სს „გალტ & თაგარტი“
გამოსყიდვის უფლება	ემიტენტს გააჩნია ობლიგაციების სრულად ან ნაწილობრივ გამოსყიდვის ოფცია ნებისმიერ „გამოსყიდვის ოფციის თარიღზე“ (განმარტება იხილეთ პროსპექტის ქვეთავში „შეთავაზების პირობები, მოსალოდნელი გრაფიკი და შეთავაზებაში მონაწილეობისთვის საჭირო პროცედურები“)
შერჩეული ფინანსური დათქმები	▪ ვალდებულების აღება: ჯგუფის ჯამური ,,ვალდებულება'', გარდა ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობის ფარგლებში წარმოშობილი არაუზრუნველყოფილი პირობითი ვალდებულებებისა და საიჯარო ვალდებულებებისა, შენარჩუნებულ იქნას ჯგუფის კონსოლიდირებული აქტივების 90%-ზე (ოთხმოცდაათი პროცენტი) დაბლა; ▪ „აკრძალული გადახდები“: 2020 წლის 31 დეკემბერს ან შემდგომ, მაგრამ ემისიის თარიღამდე შესრულებული გადახდები, რომლებიც აჭარბებს: ა) ემიტენტის კონსოლიდირებული წმინდა მოგების 50% -ს; ბ) ემიტენტის მიერ 2019 წლის 31 დეკემბრის შემდგომ ემისიის ან სააქციო კაპიტალის გაყიდვის შედეგად, ან ემიტენტის ნებისმიერი დავალიანების მისივე სააქციო კაპიტალად კონვერტაციით ან გაცვლით მიღებული წმინდა ფულადი სახსრების 100%-ს;

* დაზუსტდება საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტს დამტკიცების შემდგომ

სარჩევი

1	ობლიგაციების პირობები
2	შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიის“ მიმოხილვა
3	ინდუსტრიის მიმოხილვა
4	ძირითადი ფინანსური ინფორმაცია
5	დანართი 1: ისტორიული ფინანსური ანგარიშგებები

საქართველოს სალიზინგო კომპანიის მიმოხილვა

საქართველოს სალიზინგო კომპანია დაარსდა 2001 წელს. ის იყო პირველი კომპანია საქართველოს ბაზარზე, რომელიც მომხმარებლებს სალიზინგო მომსახურებას სთავაზობდა. **საქართველოს სალიზინგო კომპანია** არის სს „საქართველოს ბანკის“ 100%-იან მფლობელობაში.
2020 წლის ბოლოს კომპანიის მთლიანი პორტფელი **107 მლნ ლარს** შეადგენდა და ბაზრის დაახლოებით **27%**-ს იკავებდა. საქართველოს სალიზინგო კომპანიის პორტფელი დივერსიფიცირებულია 15-ზე მეტ ბიზნეს სექტორში, ჰყავს 290-ზე მეტი კორპორატიული და 3,300-მდე საცალო მომხმარებელი.

2020 წელს კომპანიის შემოსავალი შედგებოდა სამი ძირითადი ბიზნეს მიმართულებისგან, ესენია:

- კორპორაციული ლიზინგი:
  - პორტფელი–69.9 მლნ ლარი;
  - შემოსავალი–18.6 მლნ ლარი;
  - საშუალო საპროცენტო განაკვეთი– 13.7%.

- საცალო ლიზინგი (ტურბოს გარდა)
  - პორტფელი –25.7 მლნ ლარი;
  - შემოსავალი –7.9 მლნ ლარი;
  - საშუალო საპროცენტო განაკვეთი– 19.5%.

- ტურბო
  - ამოქმედდა 2017 წლის სექტემბერში;
  - პორტფელი –15.2 მლნ ლარი;
  - შემოსავალი – 6.0 მლნ ლარი;
  - საშუალო საპროცენტო განაკვეთი – 28.9%.

კომპანია პანდემიამდე სწრაფად იზრდებოდა, თუმცა შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე პორტფელი წლიური 18%-ით შემცირდა, ხოლო შემოსავლები 2021 წლის 3 თვის მონაცემებით 22%-ით შემცირდა 2020 წლის 3 თვის მონაცემებთან შედარებით.მიუხედავად ამისა კომპანიამ წარმატებით მოახერხა ვადამოსული ვალდებულებების გადავადება და შეინარჩუნა ლიკვიდობა.

შემოსავლის განაწილება, ლარი '000



პორტფელის განაწილება, ლარი '000



კომპანიის სტრატეგია 2021წლისთვის – კორპორაციული სეგმენტი

კომპანიის მთავარი კომპეტენცია უნდა იყოს ცოდნა სალიზინგო აქტივების შესახებ, რაც მას საშუალებას მისცემს მოიპოვოს კონკურენტული უპირატესობა ბაზარზე.

გადაწყვეტილების მიღების და შეძენის პროცესში მხარდაჭერა, კონსულტაცია უკვე არსებული აქტივების გაყიდვაში (განახლების მიზნით) და მომწოდებლებთან მოლაპარაკებაში მხარდაჭერა მომხმარებლებს დამატებით ღირებულებას მოუტანს. ზემოთ აღნიშნულმა კომპონენტებმა უნდა გაზარდოს მომხმარებელთა რაოდენობა და ერთგულება.

მეტი აქცენტირება რისკების შეფასების პროცესებზე შეამცირებს დეფოლტის ალბათობებს და გააუმჯობესებს კომპანიის პორტფელის ხარისხს.



მომწოდებლები - უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ სალიზინგო მიწოდების ჯაჭვში, ამიტომ მათთან მჭიდრო ურთიერთობა ბიზნესის წარმატების **ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია.**

მომწოდებლებთან მჭიდრო ურთიერთობის დასამყარებლად, კომპანია გეგმავს ლიზინგის მენეჯერები აქციოს ბრენდ მენეჯერებად, როგორც მომწოდებელთა აუთსორსის გაყიდვების ჯგუფის წევრები, რათა კლიენტებს აქტივების მიყიდვით დამატებითი ღირებულება შეუქმნან.

GEORGIAN LEASING COMPANY

კომპანიის სტრატეგია 2021 წლისთვის – საცალო სეგმენტი

ქულების სისტემის გაუმჯობესება კომპანიას საშუალებას აძლევს უკეთესად მოარგოს შეთავაზებები კლიენტების მოთხოვნებს, ხოლო რისკები შეინარჩუნოს დამაკმაყოფილებელ დონეზე.



დილერებთან და მეორადი ავტომობილების ბაზართან ურთიერთობის გაუმჯობესება გამოიწვევს გაყიდვების ზრდას, გაყიდვების და მარკეტინგის ხარჯების გაზრდის გარეშე.

მომსახურების ხარისხის ამაღლება 2021 წლის მთავარი პრიორიტეტია, რაც გააძლიერებს კომპანიის პოზიციონირებას ბაზარზე, როგორც მსუბუქი ავტომობილების დაფინანსების საუკეთესო პროვაიდერს.

უნდა შეიქმნას Trade-in შეთავაზება, რათა ბაზარზე გაჩნდეს მსუბუქი ავტომობილების განახლების მოთხოვნა ლიზინგის დაფინანსებით.

ძლიერი მენეჯმენტით განპირობებული ზრდის მნიშვნელოვანი პოტენციალი

ბაზრის ზრდის პოტენციალი

- მიმზიდველი მაკროეკონომიკური გარემო: რთული 2020 წლის შემდეგ მშპ-ს ზრდის პერსპექტივები საქართველოსთვის უფრო მაღალია ვიდრე სხვა რეგიონული ქვეყნებისთვის. საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზები შემდეგნაირია 2021 წლის განმავლობაში: საქართველოში მშპ–ს 3.5%-იანი ზრდა, აზერბაიჯანში -2.3% , ხოლო სომხეთში - 1.0%. ხოლო 2022 წლისთვის ზრდის პერსპექტივებია: საქართველოში - 5.8%, აზერბაიჯანში-1,7% და სომხეთში-3,5%.
- გაფართოების პერსპექტივა:
  - ლიზინგის სექტორი საქართველოში ჯერ კიდევ განუვითარებელია (მშპ-ს მხოლოდ 1.0%, 2020 წლის მდგომარეობით); 2017 წელს გატარებული მოგების გადასახადის რეფორმა ლიზინგის ბაზრის შემდგომი ზრდის და სალიზინგო პროდუქტების შესახებ ცნობიერების ამაღლების კარგი წინაპირობაა. მცირე და საშუალო ბიზნესის ეფექტურობა - ძირითადი მოთხოვნის შემქმნელია ლიზინგის სფეროში.
  - განვითარების პოტენციალი მომხმარებლების სხვადასხვა ჯგუფებისთვის (საცალო/კორპორაციული);

ზრდაზე ორიენტირებული ბიზნეს სტრატეგია

- რისკების შეფასების მეთოდის ცვლილება - აქტივებზე დაფუძნებულმა დაფინანსებამ აქტივების მენეჯმენტის ახალ გუნდთან ერთად მეტი მოქნილობა და რისკების უკეთესი მართვის შესაძლებლობა მისცა კომპანიას;
- ახალ ბაზარზე შესვლა - ბრენდ „ტურბოს“ ამოქმედებით კომპანია კონკურენციას უწევს MFO-ებს და მოიცავს მანქანების მაღალუკუგებიან ლიზინგს მაღალრისკიანი მომხმარებლებისთვის.

სტრატეგიული პარტნიორობა

- პარტნიორობა მანქანების წამყვან იმპორტიორთან და საცალო მოვაჭრეებთან;
- ექსკლუზიური პროდუქტების შეთავაზების შესაძლებლობა;
- მსუბუქ ავტომობილებზე იმპორტის დაფინანსების სწრაფი, მარტივი და იაფი ვარიანტების შეთავაზება;
- მაღალი მოგების მარჟა;

მენეჯმენტის ძლიერი გუნდი და აქციონერთა მხარდაჭერა

- გამოცდილი მენეჯმენტის გუნდი ლიზინგის სექტორში;
- ძლიერი კორპორაციული მმართველობა და გაუმჯობესებული ბიზნეს პროცედურები;
- აქტიური მხარდაჭერა კომპანიის აქციონერებისგან;

კომპანიასა და ობლიგაციებთან დაკავშირებული რისკები

2020 წლის 11 მარტს პანდემია გამოცხადდა COVID19-ის („კორონავირუსი“) გავრცელების გამო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ. აღნიშნულმა მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზარალი მიაყენა როგორც საქართველოს, ისე ადგილობრივი ბაზრის თითოეულ კომპანიას. პანდემია საქართველოში განსაკუთრებულად გავრცელდა 2020 წლის სექტემბერში. თუმცა ქვეყანაში შემოვიდა ვაქცინები და 2021 წლის 18 მაისის მდგომარეობით 100,000 მოქალაქეზე მეტია აცრილი სულ მცირე ერთი დოზით.

აღნიშნულმა მოვლენებმა კომპანიას შეუქმნა სხვადასხვა სირთულეები კერძოდ, შეფერხდა პორტფელის ზრდა, გაუარესდა პორტფელის ხარისხი და და გაიზარდა ზარალის რეზერვები. შეზღუდული ეკონომიკური საქმიანობიდან გამომდინარე შემცირდა შემოსავლების ზრდის ტემპი 2020 წელს და 2021 წლის 3 თვის პერიოდში.

კომპანიამ წარმატებით შეძლო ლიკვიდობის რისკების მართვა, პორტფელის ხარისხის გაუარესების მინიმიზაცია, კომპანიაში ვირუსის გავრცელების თავიდან არიდება და ზოგადად ახალ რეალობაზე მორგება. თუმცა ეკონომიკური პრობლემებიდან და ბუნდოვანი მომავლიდან გამომდინარე, არსებობს დამატებითი რისკები რის წინაშეც კომპანია შეიძლება აღმოჩნდეს.
დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ემისიის პროსპექტის „ რისკის ფაქტორების“ ქვეთავი

კომპანიის ინდუსტრიის, საქმიანობისა და ზოგადად ფასიანი ქაღალდებისთვის დამახასიათებელი რისკების შესახებ მოკლე ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:
მოკლე ინფორმაცია ბიზნესის საქმიანობისთვის დამახასიათებელი რისკების შესახებ :
1. ლიკივიდობასა და დაფინანსებასთან დაკავშირებული რისკები
2. საკრედიტო რისკები
3. საოპერაციო რისკები
4. სტრატეგიულ განვითარებასტან დაკავშირებული და სხვა რისკები
დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ემისიის პროსპექტის ამავე სათაურის ქვეთავი

მოკლე ინფორმაცია ინდუსტრიისა და მაკროეკონომიკისათვის დამახასიათებელი რისკების შესახებ :
5. ეკონომიკური არასტაბილურობისა და ინვესტირების რისკი მაღალია ისეთ განვითარებად ქვეყნებში, როგორიც საქართველოა
6. მეზობელ ქვეყნებსა და რეგიონთან დაკავშირებული რისკები
7. საკანონმდებლო და სასამართლო სისტემებთან დაკავშირებული რისკები
8. მარეგულირებელ ჩარჩოსთან დაკავშირებული რისკები
9. ფორს მაჟორი
დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ემისიის პროსპექტის ამავე სათაურის ქვეთავი

მოკლე ინფორმაცია შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი რისკების შესახებ
10. „ობლიგაციების“ საბაზრო ფასთან, ლიკვიდურობასთან და სარგებელთან დაკავშირებული რისკები
11. „ობლიგაციების" უფლებებთან დაკავშირებული რისკები
12. „ობლიგაციების" და მათი ფლობის საკანონმდებლო/მარეგულირებელ ჩარჩოსთან დაკავშირებული რისკები
დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ემისიის პროსპექტის ამავე სათაურის ქვეთავი

1 ობლიგაციების პირობები
2 შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიის“ მიმოხილვა
3 ინდუსტრიის მიმოხილვა
4 ძირითადი ფინანსური ინფორმაცია
5 დანართი 1: ისტორიული ფინანსური ანგარიშგებები

დარგის მიმოხილვა – ზრდის მნიშვნელოვანი პოტენციალი

საქართველოს ლიზინგის სექტორის მთლიანი პორტფელი შეადგენდა 419.6 მილიონ ლარს (აშშ $ 123 მილიონი), 31 მარტის მდგომარეობით (0.85% - 2020 მშპ).

ლიზინგის ბაზრის განვითარება მლნ აშშ $-ში



წყარო: კომპანიის მონაცემები

ლიზინგის ბაზრის პორტფელი დარგების მიხედვით, 2021 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით



წყარო: კომპანიის მონაცემები

- საქართველოს ლიზინგის ბაზარი 2012 წლიდან სტაბილურად იზრდებოდა. 2018 და 2019 წელი განსაკუთრებული იყო სექტორისთვის 46%-იანი და 26%-იანი წლიური ზრდით, წლების შესაბამისად.
- Covid-19 ვირუსის გავრცელების შემცირების მიზნით დაწესებული შეზღუდვების გამო, სალიზინგო ბაზარი შემცირდა წლიური 24% -ით. ბაზარზე არსებულმა კომპანიებმა მოერგნენ პოსტ-პანდემიურ მდგომარეობს, რაც ნიშნავს რისკის აპეტიტის შემცირებას და ლიკვიდურობის გაუმჯობესებას.

- მშენებლობის, წარმოების და მომსახურებისა სექტორები ყველაზე ფართოდ იყენებენ სალიზინგო მომსახურებას;
- საქართველოს სალიზინგო კომპანიის პორტფელი 15-ზე მეტი ინდუსტრიისგან შედგება. კომპანია ბაზრის საერთო წილის დაახლოებით 27%-ს ფლობს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

დარგის მიმოხილვა –ზრდის მნიშვნელოვანი პოტენციალი, გაგრძელება

- საქართველოში ბიზნესების უმეტესობა ვაჭრობისა და მომსახურების სექტორის მცირე და საშუალო ზომის ბიზნესებია. 2006 წლიდან რეგისტრირებული ფირმების რაოდენობა იზრდება, ბოლო 10 წლის განმავლობაში მშპ-ის მკვეთრი ზრდის ფონზე მათი რიცხვი გასამმაგდა.
- პანდემიის შემდგომი ეკონომიკური აღდგენის პროცესი მოიაზრებს მცირე და საშუალო ბიზნესების ზრდას და შესაბამისად მოთხოვნის ზრდას ლიზინგზე.

მცირე და საშუალო ბიზნესების ინვესტიციები ძირითად საშუალებებში, მლნ აშშ$



წყარო: საქსტატი

მცირე, საშუალო და მსხვილ ბიზნესებში დასაქმებულთა შრომისეფექტიანობა**, ლარი დასაქმებულზე



წყარო: საქსტატი * მონაცემები არის წინასწარი** პროდუქციის გამოშვება/დასაქმებულთა რაოდენობა

- ლიზინგით დაფინანსებაზე მოთხოვნას ძირითადად მცირე და საშუალო ბიზნესები ქმნიან, რადგან ლიზინგი ასეთ კომპანიებს აქტივების ფლობის საშუალებას აძლევს საბრუნავი კაპიტალის შემცირების გარეშე.
- თუმცა საზოგადოებაში სალიზინგო პროდუქტებზე მოთხოვნა დაბალია, ლიზინგის უპირატესობებზე არასაკმარისი ინფორმაციის გამო.
- აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოტენციური სალიზინგო პროდუქტების იმპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა 2015-2018 წლებში და დაახლოებით 1 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. თუმცა 900 მლნ აშშ დოლარამდე შემცირდა 2019 წელს.

- მცირე და საშუალო ზომის ბიზნესები მოსახლეობის შეუსაბამოდ დიდ წილს ასაქმებს მათსავე შემოსავლიანობასთან და წარმოების მოცულობასთან მიმართებაში.
- მსხვილ ბიზნესებში შრომის ეფექტიანობა უფრო მაღალია, მცირე და საშუალო ბიზნესებთან შედარებით. ეს გამოწვეულია იმით, რომ მცირე და საშუალო ბიზნესებში ნაკლებად იყენებენ ახალ ტექნოლოგიებს. ეს ფაქტი, თავის მხრივ, მიუთითებს ლიზინგის ინდუსტრიის ზრდის პოტენციალზე.

1 ობლიგაციების პირობები
2 შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიის“ მიმოხილვა
3 ინდუსტრიის მიმოხილვა
4 ძირითადი ფინანსური ინფორმაცია
5 დანართი 1: ისტორიული ფინანსური ანგარიშგებები

მნიშვნელოვანი ფინანსური ინფორმაცია (1/4)

ვალდებულების განაწილება, ლარი '000



წმინდა საპროცენტო შემოსავალი და წმინდა საპროცენტო მარჟა*, ლარი '000



- როგორც აქტივების ზრდაზე დამოკიდებულ ბიზნესს, კომპანიას სჭირდება დიდი ოდენობით დაფინანსება, რათა ხელი შეუწყოს სალიზინგო აქტივების პორტფელის ზრდას, დააფინანსოს საკუთარი ოპერაციები და დაფაროს ვალები.
- კომპანიის მთლიანი პროცენტიანი ვალდეულებები 2021 წლის 31 მარტის მდგომარეობით 161 მლნ ლარს შეადგენდა ხოლო მთლიანი ვალის კაპიტალთან შეფარდება კი 7.8x იყო.
- კომპანიას აქვს 100 მლნ ლარამდე პროცენტიანი მიმდინარე ვალდებულებები, რომლის 54% დარეფინანსირდება ახალი ობლიგაციების გამოშვებით.

- კომპანიის წმინდა საპროცენტო შემოსავალი 2020 წელს 2019 წელთან შედარებით 16% -ით გაიზარდა, წლის პირველ ნახევარში პორტფელის სწრაფი ზრდის გამო.
- წმინდა საპროცენტო შემოსავალი 38%-ით შემცირდა 2021 წლის პირველ კვარტალში 2020 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, რადგან პანდემიით გამოწვეული გაურკვევლობის გამო კომპანიამ გააუმჯობესა ლიკვიდურობა და შეამცირა რისკის აპეტიტი.
- წმინდა საპროცენტო შემოსავლის მარჟა იყო 59% და 63%, 2020 და 2019 წლებისთვის. COVID-19 პანდემიისა და ეკონომიკური სირთულეების გამო 2021 წლის 3 თვის მონაცემებით ეს მაჩვენებელი შემცირდა 47% –მდე.

მნიშვნელოვანი ფინანსური ინფორმაცია (2/4)

ხარჯების გადანაწილება ტიპების მიხედვით, 2020



- 2020 წლის კომპანიის ხარჯების ძირითად ნაწილს საპროცენტო ხარჯი შეადგენს – 14.1 მლნ ლარი. ვალდებულებები აღებულია საშუალოდ 8.5%-ში.
- ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მთლიანი ხარჯების 27% იყო 2020 წელს და ძირითადად შედგებოდა დაზღვევის, იურიდიული და სხვა პროფესიონალური მომსახურების, მარკეტინგისა და რეკლამირების ხარჯებისგან.
- Covid-19 პანდემიის გამო, გაუფასურების ხარჯი 2020 წელს 7 მლნ ლარამდე იყო, ხოლო 2019 წელს 1,6 მილიონი ლარი.
- ლარის სწრაფმა გაუფასურებამ 2020 წლის მარტი-აპრილის პერიოდში 4,3 მილიონი ლარის ზარალი გამოიწვია.

PAR-ის დინამიკა, წლიურად



- პორტფელის რისკის განაკვეთი (PAR rate) 18.8% დან 16.1%-მდე შემცირდა 2020 წელს წინა წელთან შედარებით, რაც განპირობებულია 2020 წლის განმავლობაში 40 მილიონ ლარამდე ღირებულების პროტფელის ჩამოწერით.

- კომპანია არ აკეთებს სრულად GRACE პერიოდებს. გამონაკლისი იყო სახელმწიფოს მორატორიუმი 2020 წლის მარტი-მაისის თვეში, რომელიც ჯამურად 48.5 მლნ ლარის ღირებულების მოთხოვნებს შეეხო (პორტფელის 31%). თუ ხდება შეღავათიანი გრაფიკის შეთავაზება (მაგალითად ძირზე საშეღავათო პერიოდი), ასეთი პორტფელი კლასიფიცირდება რესტრუქტურიზებულ პორტფელად. ასეთი პორტფელი არ ჩანს PAR-ში თუ რესტრუქტურიზების შემდეგ ხელახლა არ მოხვდა ვადაგადაცილებაში

- დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ემისიის პროსპექტის „ფინანსური მდგომარეობის“ ქვეთავი

მნიშვნელოვანი ფინანსური ინფორმაცია (3/4)

მთლიანი პორტფელი ინდუსტრიების მიხედვით ლარი’000	მარ-2021 Actual	დეკ-2020 actual	დეკ-2019 actual	ცვლილება (დეკ-20-მარტი-21)	ცვლილება (დეკ-19-დეკ-20)
საცალო	38,165	40,164	39,270	-5%	2%
მშენებლობა	22,162	21,054	29,272	5%	-28%
მომსახურება	17,696	13,376	19,830	32%	-33%
ტრანსპორტირება	8,222	8,733	8,307	-6%	5%
წარმოება	7,701	8,308	8,316	-7%	0%
ვაჭრობა	5,654	6,726	7,133	-16%	-6%
გზის მშენებლობა	2,747	2,856	6,496	-4%	-56%
დისტრიბუცია	1,980	2,167	2,091	-9%	4%
კვება & სასმელები	1,990	2,159	5,267	-8%	-59%
სხვა	3,122	4,481	6,792	-30%	-34%
ჯამი	**109,439**	**110,024**	**132,774**	**-1%**	**-17%**

მთლიანი პორტფელი ინდუსტრიების მიხედვით, 2021 წლის მარტი



- მიუხედავად იმისა, რომ პანდემიაზე საქართველოს მთავრობის პირველადი რეაგირება ეფექტური იყო, covid-19 მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა 2020 წლის მეორე ნახევარში, განსაკუთრებით ბოლო კვარტალში, რამაც გამოიწვია 2 თვიანი „ლოქდაუნი“, ეკონომიკური შემცირება 6,1%-ით და შემცირება მშენებლობის, მომსახურების, გზის მშენებლობისა და კვება & სასმელების სექტორებში.
- 2020 წლის პირველი სამი თვის განმავლობაში მთლიანი პორტფელი 160 მლნ ლარამდე გაიზარდა, მაგრამ ბოლო სამი თვის განმავლობაში „მეორე ლოქდაუნის“ გამო 40 მლნ ლარამდე მოთხოვნები ჩამოიწერა. ჩამოწერილი მოთხოვნების 99.1% გაიცა პანდემიის დაწყებამდე. ზემოთ აღნიშნული მოთხოვნები გადავიდა აქტივებში, რომლებიც ლიზინგის უზრუნველსაყოფად იყო ჩადებული.
- შედეგად 2020 წლის ბოლოსთვის მთლიანი პორტფელი 17.7%-ით (კურსის ეფექტის გამორიცხვით 24.3%-ით) შემცირდა.
- 2021 წლის პირველი სამი თვის განმავლობაში მთლიანი პორტფელი ძირითადად იმავე დონეზე დარჩა (კურსის ეფექტის გამორიცხვით 1.36%-ით შემცირდა). მომსახურების სექტორში პორტფელის მკვეთრი ზრდა დაფიქსირდა, რადგან მთავრობამ შეამსუბუქა შეზღუდვები, როდესაც ყველა სხვა სექტორის პორტფელებში შეიმჩნევა რისკის აპეტიტის შემცირება.

მნიშვნელოვანი ფინანსური ინფორმაცია (4/4)

- კომპანია ცდილობდა შეენარჩუნებინა ლიკვიდურობა, შესაბამისად მიმდინარე აქტივები გაზარდა 20%-ით პირველ 3 თვეში 2021 წელს 2020 წლის 31 დეკემბერთან შედარებით. ეს ძირითადად გამოწვეული იყო ბალანსზე მეტი ქეშის შენახვით. (24 მლნ ლარი - 2020 წლის დეკემბრის მდგომარეობით, 40 მლნ ლარი - 2021 მარტის მდგომარეობით).
- გრძელვადიანი აქტივების შემცირება 2021 წლის 3 თვის მდგომარეობით 2020 წლის 31 დეკემბერთან შედარებით ძირითადად გამოიწვია გრძელვადიანი სალიზინგო მოთხოვნების და გრძელვადიანი სალიზინგო აქტივების შემცირებამ.
- მიმდინარე ვალდებულებები იმავე დონეზე დარჩა, მაგრამ შემცირდება ობლიგაციების რეფინანსირების/დაფარვის შემდეგ.
- 2021 წლის 3 თვეში 2020 წლის 31 დეკემბერთან შედარებით გრძელვადიანი ვალდებულებები 23%-ით გაიზარდა. კომპანიამ გამოიყენა დამატებითი დაფინანსება მაღალი ლიკვიდურობის შესანარჩუნებლად, როდესაც გაურკვეველი იყო სამომავლო მოლოდინები პანდემიის პირობებში.
- 2020 წლის დეკემბრის მონაცემებით, ღია სავალუტო პოზიცია აშშ დოლარში შეადგენს 31 მლნ ლარს და ჰეჯირდება ბირჟის ფორვარდული ხელშეკრულებით 3 მლნ აშშ დოლარზე.
- უცვლელი სავალუტო პოზიციაა ევროში (15 მლნ ლარი).
- კომპანიის ლიკვიდურობის კოეფიციენტები 2020 წლის დეკემბრიდან 2021 წლის მარტამდე გაუმჯობესდა, ძირითადად ბალანსზე ქეშის ზრდის გამო. ობლიგაციის რეფინანსირების შემდეგ მოსალოდნელია გაუმჯობესება, რაც შეამცირებს მიმდინარე ვალდებულებებს და გაუმჯობესდება კომპანიის ლიკვიდურობა მაგრამ კომპანიის ლევერიჯი იგივე დონეზე დარჩება.
- 2020 წლის განმავლობაში კომპანიამ დაარღვია PAR30 (პაშა ბანკი, ბანკი ქართუ), PAR90 (პაშა ბანკი, ბანკი ქართუ), მიმდინარე (პაშა ბანკი) და ლევერიჯის (ობლიგაციები ISIN: GE2700603659) კოვენანტების კოეფიციენტი. აღნიშნულზე დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ პროსპექტის ქვეთავი „ფინანსური კოვენანტების მიმოხილვა“)

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები, ლარი' 000	მარტი-21 არააუდირებული	დეკ-20 აუდირებული	დეკ-19 აუდირებული
მიმდინარე აქტივები	131,233	110,326	106,528
გრძელვადიანი აქტივები	59,427	66,088	83,021
მიმდინარე ვალდებულებები	107,456	105,965	110,135
გრძელვადიანი ვალდებულებები	61,587	49,934	54,916
კაპიტალი	20,618	20,515	24,497

ღია სავალუტო პოზიცია, ლარი'000	დოლარი	ევრო	ჰეჯი
წმინდა ღია სავალუტო პოზიცია 2019 (ჰეჯის გათალისწინებით)	(11,735)	(2,329)	-
წმინდა ღია სავალუტო პოზიცია 2020 (ჰეჯის გათვალისწინებით)	(20,427)	15,527	ფორვარდული კონტრაქტი 3 მლნ აშშ$

ლიკვიდურობის ძირითადი კოეფიციენტი	მარ-21 პოტენციური*	მარ-21 არააუდირებული	დეკ-20 აუდირებული	დეკ-20 აუდირებული
Current ratio	2.33x	1.22x	1.04x	0.97x
Quick ratio	1.90x	0.95x	0.79x	0.79x
Cash ratio	0.75x	0.38x	0.23x	0.19x

* კოეფიციენტები 12 მლნ აშშ$ და 3 მლნ ევროს ობლიგაციების გამოშვების და 10 მლნ აშშ$ ობლიგაციების გადაფარვის შემდეგ

შერჩეული ფინანსური კოეფიციენტები

	3M21*	3M21	2020	2019
ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტები				
1. სესხებისა და კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი	7.81	7.81	7.15	6.48
2. პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი	1.03	1.03	0.72	1.38
3. მთლიანი ვალის კოეფიციენტი	0.85	0.85	0.83	0.84
4. სესხი მთლიან კაპიტალთან	0.89	0.89	0.88	0.87
მომგებიანობის კოეფიციენტები				
5. უკუგების კოეფიციენტი აქტივებზე	-0.24%	-0.24%	-2.18%	2.5%
6. უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე	-2.13%	-2.13%	-17.76%	17.1%
7. ჩადებული კაპიტალის ამონაგების კოეფიციენტი	8.02%	8.02%	5.74%	9.5%
8. საერთო მოგების მარჟა	52.84%	52.84%	38.85%	57.1%
9. საოპერაციო მოგების მარჟა	1.41%	1.41%	-11.50%	12.8%
10. წმინდა მოგების მარჟა	1.40%	1.40%	-11.52%	12.8%
ლიკვიდურობის კოეფიციენტები				
11. ლიკვიდური აქტივები/მთლიანი აქტივები	53.65%	53.65%	47.52%	45.03%
12. ლიკვიდური აქტივები/მოკლევადიანი ვალდებულებები	180.79%	94.69%	79.12%	77.50%
13. საბრუნავი კაპიტალის კოეფიციენტი	0.44	2.3	N/A	N/A
14. მიმდინარე აქტივების კოეფიციენტი	2.33	1.22	1.04	0.97
საოპერაციო კოეფიციენტები				
15. ძირითადი საშუალებების ბრუნვის კოეფიციენტი	12.6	12.6	15.6	17.5
სხვა კოეფიციენტები				
16. კაპიტალი/წმინდა სასესხო პორტფელთან	19.28%	19.28%	19.22%	18.79%
17. წმინდა გაუფასურების ხარჯი/შემოსავალთან	-5.95%	-5.95%	20.28%	5.75%
18. პორტფელის ჩამოწერა/პორტფელთან	37.94%	37.94%	33.68%	14.44%
19. ჩამოწერილი პორტფელის ამოღება	14.90%	14.90%	21.01%	30.74%
20. პორტფელის რესტრუქტურიზაცია პორტფელთან	44.29%	44.29%	44.85%	8.80%
21. რესტრუქტურიზებული პორტფელის ჩამოწერა/პერიოდის განმავლობაში რესტრუქტურიზებულ პორტფელთან	65.24%	65.24%	23.10%	52.55%
22. ობლიგაციის კოვენანტი - ვალის კოეფიციენტი	0.85	0.85	0.83	0.84

დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ემისიის პროსპექტის ქვეპუნქტი „ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები“

* კოეფიციენტები 12 მლნ აშშ$ და 3 მლნ ევროს ღირებულების ობლიგაციების წარმატებით გამოშვების და 10 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ობლიგაციების გადაფარვის შემდეგ

1	ობლიგაციების პირობები
2	შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიის“ მიმოხილვა
3	ინდუსტრიის მიმოხილვა
4	ძირითადი ფინანსური ინფორმაცია
5	დანართი 1: ისტორიული ფინანსური ანგარიშგებები

კონსოლიდირებული საბალანსო უწყისი (აუდირებული)

კონსოლიდირებული საბალანსო ანგარიშგება, ათასი ლარი	31-მარ-2021 არააუდირებული	31-დეკ-2020 აუდირებული	31-დეკ-2019 აუდირებული	31-დეკ-2018 აუდირებული
აქტივები				
ფული და ექვივალენტები	40,361	24,441	21,281	6,335
სალიზინგო მოთხოვნები	106,950	106,752	130,359	88,081
აქტივები ლიზინგით გაცემის მიზნებისთის	31,995	37,926	21,468	11,115
ავანსად გადახდილი თანხები აქტივებისთვის	7,058	3,683	13,820	6,112
ძირითადი საშუალებები	1,580	1,342	1,251	750
სხვა აქტივები	1,717	2,270	1,369	4,305
სულ აქტივები	**189,661**	**176,414**	**189,549**	**116,698**
მათ შორის მთლიანი გრძელვადიანი აქტივები	*59,584*	*66,627*	*83,351*	*48,734*
ვალდებულებები				
სასესხო კრედიტორული დავალიანება	75,599	63,763	86,170	55,292
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	85,400	82,893	72,539	36,941
საიჯარო ვალდებულება	928	1,058	736	-
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	3,885	2,759	3,556	2,606
სხვა ვალდებულებები	3,232	5,426	2,051	1,215
სულ ვალდებულებები	**169,043**	**155,899**	**165,052**	**96,053**
მათ შორის მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები	*61,587*	*49,934*	*54,916*	*58,447*
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	3,180	3,180	3,180	3,180
დამატებითი შეტანილი კაპიტალი	15,374	15,347	15,188	15,030
გაუნაწილებელი მოგება/(აკუმულირებული ზარალი)	2,661	2,584	6,581	2,714
სხვა რეზერვი	(596)	(596)	(452)	(279)
მთლიანი კაპიტალი	**20,618**	**20,515**	**24,497**	**20,645**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	**189,661**	**176,414**	**189,549**	**116,698**

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის უწყისი (აუდირებული)

კონსოლიდირებული მოგება-ზარალი('000 ლარი)	3M21 არააუდირებული	3M20 არააუდირებული	2020 აუდირებული	2019 აუდირებული
საპროცენტო შემოსავალი				
ფინანსური შემოსავალი ლიზინგიდან	6,248	8,022	33,188	27,439
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	298	33	1,122	283
საპროცენტო ხარჯი				
საპროცენტო ხარჯი გამოყენების უფლებით ფლობილ ვალდებულებებზე	(18)	(13)	(54)	(63)
სასესხო დავალიანება	(1,839)	(1,674)	(7,932)	(6,143)
გამოშვებული ობლიგაციები	(1,620)	(1,428)	(6,067)	(3,995)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	**3,069**	**4,940**	**20,258**	**17,520**
წმინდა საპროცენტო შემოსავლის მარჟა	*46.9%*	*61.3%*	*59.0%*	*63.2%*
გაუფასურების რეზერვის ხარჯი სალიზინგო მოთხოვნებზე	390	(1,860)	(6,959)	(1,595)
გაუფასურების რეზერვის ხარჯი სხვა აქტივებზე	-	-	31	(91)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურების შემდეგ	**3,459**	**3,080**	**13,330**	**15,834**
გაუფასურების შემდეგ წმინდა საპროცენტო შემოსავლის მარჟა	*52.8%*	*38.2%*	*38.9%*	*57.1%*
სხვა საოპერაციო შემოსავალი				
შემოსავალი ჯარიმებიდან	1,044	623	3,379	2,059
სხვა საოპრეაციო შემოსავალი	156	296	1,257	1,075
წმინდა შემოსულობა/(ზარალი) უცხოური ვალუტის კონვერტაციიდან	(1,038)	(3,368)	(4,265)	(532)
სულ საოპერაციო შემოსავალი	**3,620**	**632**	**13,701**	**18,436**
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(2,585)	(3,378)	(11,816)	(11,054)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(731)	(820)	(2,617)	(2,610)
სალიზინგო მიზნებისთვის ფლობილი აქტივების ჩამოწერა	(210)	103	(3,257)	(883)
სულ საოპერაციო ხარჯები	**(3,526)**	**(4,096)**	**(17,690)**	**(14,547)**
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე	**95**	**(3,463)**	**(3,989)**	**3,889**
მოგების მარჟა გადასახადით დაბეგვრამდე	*1.4%*	*-43.0%*	*-11.6%*	*14.0%*
მოგების გადასახადის (ხარჯი)/სარგებელი	(1)	(1)	(8)	(22)
წმინდა მოგება	**94**	**(3,465)**	**(3,997)**	**3,867**
წმინდა მოგების მარჟა	*1.4%*	*-43.0%*	*-11.6%*	*14.0%*